რელიზი

ნინო ჩიჩუას საჯარო ლექცია: ბრენდი - დამზადებულია საქართველოში

4 მაისს, 13:00 საათზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიაში, ილიაუნის ბიზნესის სკოლის ინიციატივით, „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მარკეტინგისა და სერვისის დირექტორი, ნინო ჩიჩუა წაიკითხავს საჯარო ლექციას: „ბრენდი - დამზადებულია საქართველოში“.

საჯარო ლექციის თემატიკა

- რა არის მნიშვნელოვანი მომსახურების ინდუსტრიაში იმისათვის, რომ წარმატებული და განსხვავებული გახდეს;
- რა არის იუსტიციის სახლის წარმატების ფორმულა;
- რა გამოწვევების წინაშე იდგა ორგანიზაცია.

ლექციის ფარგლებში, მომხსენებელი სტუდენტებს გაუზიარებს თავის მრავალწლიან გამოცდილებას სერვისის სფეროში და მისცემს მათ კონკრეტულ რეკომენდაციებს წარმატებისკენ გზის გასაკვალად. განიხილავს, მარკეტინგულმა ხედვამ, მომხმარებელზე ორიენტაციამ და ინოვაციურმა აზროვნებამ როგორ გახადა იუსტიციის სახლი ქვეყნის ყველაზე წარმატებული რეფორმა და ქართული „know how”. უდიდესი საერთაშორისო აღიარება, ათიათასობით აღფრთოვანებული უმაღლესი რანგის უცხოელი დელეგატი, სახელმწიფო მოხელე თუ ბიზნესის წარმომადგენელი, გაეროს ჯილდო... ეს ის ჩამონათვალია რომელიც იუსტიციის სახლის ბრენდს უკავშირდება.

დრო: 4 მაისი, 13:00 საათი

ადგილმდებარეობა: E 207 აუდიტორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ჩოლოყაშვილის გამზ. #3/5)

დასწრება თავისუფალია.

ანა კვანჭილაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსი
577 42 20 09
ana.kvanchilashvili@iliauni.edu.ge